ედუარდ კავთიძე

განაწილებითი სისტემის ობიექტურობისა და სამართლიანობის ზოგიერთი საკითხი

ედუარდ კავთიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ეკონომიკურ სტიმულებზე განაწილებითი სისტემის გავლენის საკითხში უმნიშვნელოვანესია ამ სისტემის ობიექტურობისა და სამართლიანობის საკითხი. ლიტერატურის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ობიექტურობა და სამართლიანობა განაწილებაში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი სხვადასხვა წყაროებში. ზოგ წყაროში განაწილების არსებული წესის არსებითი ცვლილებების საკითხია დასმული, რაც რევოლუციური გადატრიალების თვალსაზრისით არის წარმოდგენილი, ზოგში კი მოცემულია განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული განაწილებითი სისტემებიდან ერთ-ერთის სასარგებლო არგუმენტები. ეს სისტემები განხილულია, როგორც ფილოსოფიური, იდეოლოგიური სისტემები და გამოთქმულია მოსაზრებები მათ შესაძლო განვითარებაზე.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთება, რაც დამოუკიდებელი კვლევის ობიექტად შეიძლებოდა გადაქცეულიყო. ამ საკითხში ჩვენს მიზანს წარმოადგენს ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებების გადმოცემა, რადგან ეს მოსაზრებები, მათი განსხვავების მიუხედავად, მაინც გვიჩვენებენ ამ საკითხის მნიშვნელობას, როგორც ეკონომიკური სტიმულების ანალიზისათვის, ისე მათი პრაქტიკული სრულყოფისათვის.

პირველ რიგში, მოკლედ შევეხოთ მოსაზრებებს კაპიტალისტური და სოციალისტური განაწილების არაობიექტურობის, არასამართლიანობის შესახებ. კაპიტალისტური განაწილების მიმართ ამის მიზეზად ითვლება არაშრომითი საკუთრების არსებობა, აგრეთვე განაწილების ბერკეტები, რომლებიც უსამართლობას იწვევენ. რაც შეეხება განაწილების სოციალისტურ, დირექტიულ წესს, იგი ძალადობრივია. მან ვერ უზრუნველყო სოციალური სამართლიანობა და ობიექტური განაწილება, რისთვისაც ის თითქოს იყო შექმნილი. განაწილების ასეთი, ფაქტობრივი სისტემები, თავისი არსით ანტიადამიანური და ანტისაზოგადოებრივია. მათ დროს სიმდიდრე უსაზღვრო მოთხოვნილებების საგნადაა ქცეული. ავტორი ასკვნის, რომ განაწილებითი ურთიერთობების განვითარების ლოგიკამ უნდა შეცვალოს ის პირობები, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბდა.

აღნიშნული საკითხი უფრო ხშირად ისმება განაწილების ცნობილი სისტემებიდან ერთ-ერთის არჩევისა და მათი სრულყოფის ასპექტში.

საკითხი იმის შესახებ, უნდა შეიცვალოს თუ არა შემოსავლების განაწილების სისტემა, აგრეთვე საკითხი,რომელი ტიპის განაწილება უნდა იქნეს არჩეული მოცემულ ქვეყანაში განაწილების ცნობილი სისტემებიდან, ფილოსოფიური საკითხებია. ნათელია, რომ ეს საკითხები არის ნორმატიული ხასიათისა, მაგრამ ისინი ემყარება იმ პოლიტიკოსთა მსოფლმხედველობას, რომლებიც მსჯელობენ მისი გადაწყვეტის შესახებ. ამიტომ ნ. გრეგორი მენქიუ მიიჩნევს, რომ ამ საკითხს აქვს ნორმატიული ხასიათი, რადგან „პოლიტიკოსებმა უნდა უპასუხონ: რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ ეკონომიკურ უთანასწორობასთან დაკავშირებით?". „მაგრამ იგი – აგრძელებს მენქიუ – მარტო ეკონომიკას არ ეხება. მხოლოდ ეკონომიკური ანალიზი ვერაფერს გვეტყვის იმის შესახებ, უნდა სცადონ თუ არა პოლიტიკოსებმა, უფრო თანასწორი გახადონ ჩვენი საზოგადოება; ჩვენი შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით მეტწილად პოლიტიკურ ფილოსოფიას ეკუთვნის, მაგრამ, ვინაიდან მთავრობის როლი შემოსავლების გადანაწილებაში ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებული დებატების ცენტრალური საკითხია, აქ ცოტა ხნით გადავუხვევთ ეკონომიკური მეცნიერებიდან და პოლიტიკურ ფილოსოფიას მივუბრუნდებით".

მენქიუ განიხილავს ამ საკითხთან დაკავშირებულ სამ ფილოსოფიურ მოძღვრებას: უტალიტარიზმს, ლიბერალიზმსა და ლიბერტარიანიზმს. პოლიტიკური ფილოსოფიის იმავე მიმართულებებს, მენქიუს სახელმძღვანელოს მითითე-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ბით, განიხილავს აგრეთვე ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი ვლადიმერ პაპავა.

ამ სამი მიმართულებიდან „პირველი ორის თანახმად, – აღნიშნავს იგი, – სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა შემოსავლების რაღაც ოპტიმალურ დონეზე დაახლოებისაკენ უნდა იყოს მიმართული". მაშასადამე, მესამე მიმართულება - ლიბერტარიანიზმი - მათგან განსხვავებულია იმით, რომ შემოსავლების დაახლოების პოლიტიკა, მის თანახმად, მიჩნეულია არასწორად. მაშასადამე, სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკურ სტიმულებზე გავლენას ახდენენ, ლიბერტარიანული მიმართულების თანახმად, გამოყენებულ უნდა იქნენ შედარებით პასიურად, რომ ხელი არ შეეშალოთ საბაზრო ძალებს შემოსავლების განსხვავებული დონეების ჩამოყალიბებაში. ჩვენ ამას აღვნიშნავთ იმის გამო, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ აღნიშნული მიმართულებების კავშირი შრომის სტიმულების საკითხთან; ახლა განვიხილოთ აღნიშნული მიმართულებები ვლ. პაპავას მონოგრაფიის მიხედვით, რომელშიც ეს მიმართულებები მოკლედ არის განხილული.

უტილიტარიზმი იმ პრინციპიდან გამოდის,რომ სახელმწიფო საზოგადოების თითოეული წევრისათვის ერთობლივი სარგებლიანობის მაქსიმიზაციას უნდა ესწრაფვოდეს, სადაც სარგებლობაში კონკრეტული ადამიანის ბედნიერება ან მისი სურვილების დაკმაყოფილების დონე იგულისხმება, რაც კეთილდღეობის მაჩვენებელში გამოიხატება. კლებადი ზღვრული სარგებლიანობის წანამძღვრებზე დაყრდნობით, მდიდრისათვის ერთი დოლარის წართმევა მის სარგებლიანობას უფრო ნაკლებად ამცირებს, ვიდრე ამ დოლარის ღარიბისათვის მიცემა ზრდის ამ უკანასკნელის სარგებლიანობას (რადგან ღარიბს ეს დოლარი უფრო საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის სჭირდება); აქედან გამომდინარე, შემოსავლების ამგვარი გადანაწილების შემთხვევაში საზოგადოების ერთობლივი სარგებლიანობა იზრდება. ვლ. პაპავას აზრით, „მოცემულ საქმეში ყველაზე დიდ სირთულეს გადანაწილების იმ ოპტიმალური ზღვრის მოძებნა წარმოადგენს, რომლის დარღვევის შემთხვევაში ადამიანი სიმდიდრის შექმნის სტიმულს დაკარგავს, რის შედეგადაც მთელი საზოგადოება დაზარალდება". მაშასადამე, ავტორი ამ პრობლემის გადაწყვეტას სწორად მიიჩნევს წარმოების ეფექტიანობის სასარგებლოდ, ხოლო უტილიტარული პრინციპით - მოხმარების ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის საზიანოდ. თუმცა ამ მსჯელობიდან არ გამომდინარეობს, რომ იგი მოხმარების ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის პრობლემის იგნორირებას ახდენს - მისი მსჯელობა ეხება ოპტიმალურ ზღვარს, რომლის ზემოთ სახელმწიფოს პოლიტიკა შემოსავლების გადანაწილებაში გამოიწვევს სიმდიდრის შექმნის სტიმულის დაკარგვას. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ ამ ოპტიმალური ზღვრის დარღვევის რეციდივები არცთუ ისე იშვიათია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ უტილიტარიზმის ეკონომიკური პოლიტიკის გატარება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, როცა, ერთი მხრივ, ამის გამოცდილება პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო მეორე მხრივ, გარდაქმნის პროცესში მყოფი ადამიანის მენტალიტეტში შემოსავლების ფსევდოთანასწორობის წარსულზე ნოსტალგია ჯერ კიდევ შემორჩენილია, უაღრესად საშიშია, რადგან შემოსავლების გადანაწილებაში ოპტიმალური ზღვრის დარღვევის ალბათობა საკმაოდ მაღალია.

ასევე საკმაოდ საინტერესოა ავტორის ზოგადი დასკვნა, რომელიც უტილიტარიზმის მიმართულების ანალიზიდან გამომდინარეობს. ამასთან, იბადება კითხვა - შეიძლება, თუ არა ამ მიმართულების პოლიტიკის განხორციელების გამოცდილების არსებობა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო უნდა ზომავდეს, რა რაოდენობის სარგებლიანობა დააკლდათ მდიდრებს მათი ყოველი დოლარის გადანაწილებიდან, ხოლო რა დაემატათ ღარიბებს. ამასთან, არ შეიძლება სარგებლიანობის გადასვლით მდიდრების მოხმარებიდან ღარიბების მოხმარებაში გაიზომოს ერთობლივი სარგებლიანობა, რადგან ერთობლივი სარგებლიანობა გულისხმობს იმასაც, რომ გაიზომოს მდიდრების დანაზოგის სარგებლიანობა, რომელსაც ამ დანაზოგებით განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობა გვიჩვენებს. ნათელია, რომ ეს მსჯელობა არათუ არ ეწინააღმდეგება ვლ. პაპავას დასკვნას, არამედ მის სასარგებლოდ არის მიმართული.

შემოსავლების გადანაწილების მეორე პოლიტიკურ ფილოსოფიას, როგორც აღვნიშნეთ, ლიბერალიზმი წარმოადგენს. როგორც ვლ. პაპავა წერს, მისი ამოსავალი პრინციპის თანახმად, სახელმწიფომ სამართლიანობის შენარჩუნების პოლიტიკა უნდა გაატაროს, ხოლო სამართლიანობის ხარისხი შეფასებული უნდა იქნეს მიუკერძოებული დამკვირვებლის მიერ. მაგრამ რადგან „სამართლიანი განაწილების" განმარტება პრაქტიკულად შეუძლებელია, გასაგებია, თუ რა თეორიულ სირთულეებთანაა დაკავშირებული პოლიტიკური ფილოსოფიის მოცემული მიმართულება. მართლაც, ტერმინ „სამართლიანი განაწილების" განმარტების შეუძლებლობას ადასტურებს არა მხოლოდ ვლ. პაპავას მიერ თავისი მონოგრაფიის იმავე თავის წინა პარაგრაფებში მოცემული მსჯელობები, არამედ, აგრეთვე, ზემოთ მოყვანილი მსჯელობები. ამასთან, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ ტერმინის განმარტება შეუძლებელია, მის პრინციპზე უარის თქმა სწორად არ მიგვაჩნია. ავტორი იქვე ადარებს ლიბერალიზმის ეკონომიკური პოლიტიკის იმ მიზანს, რომ სა-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ზოგადოების უდარიბესი წევრის კეთილდღეობა იქნეს მაქსიმიზებული, უტილიტარიზმის პოლიტიკის იმ მიზანთან, რომ მოხდეს საზოგადოების წევრთა საშუალო სარგებლიანობის მაქსიმიზაცია. შესაძლებელია, ეს მიზნები არსობრივად მართლა ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ, სამართლიანობა განაწილებაში წარმოადგენს ცნებას, რომელიც ამასთან ერთად გულისხმობს სხვა ელემენტებს, მათ შორის, იგი მიმართულია დაუმსახურებლად მიღებული წილის წინააღმდეგ.

შემოსავლების განაწილების მესამე პოლიტიკურ ფილოსოფიას, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს ლიბერატრიანიზმი. მის პრინციპს წარმოადგენს სახელმწიფოს მოვალეობა, რომელიც შემოსავლის გადანაწილებაში კი არ მდგომარეობს, არამედ დამნაშავეთა დასჯაში და ნებაყოფლობითი შეთანხმებების განხორციელების ხელშეწყობაში ადამიანის უფლებათა დაცვაში, შესაძლებლობათა თანასწორობის უზრუნველყოფაში. საბაზრო თანასწორობის ფილოსოფია მართლაც ეს არის. იგი წინააღმდეგობაშია თანასწორობის ფილოსოფიის ორივე ზემოაღნიშნულ მიმართულებასთან, რომლებიც მხოლოდ შემოსავლების გადანაწილებას ეხებიან მდიდრების საზიანოდ და ღარიბთა სასარგებლოდ. მაგრამ ამასთან, იგი არ გამორიცხავს მოსახლეობის სოციალურ დაცვას. „აქ ისაა მთავარი, რომ სახელმწიფომ მიზნად არა შემოსავლების გადანაწილება, არამედ შესაძლებლობათა თანასწორობა დაისახოს", ხოლო ადამიანების შესაძლებლობათა თანასწორობა დაკავშირებულია ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდასთან, მათ შორის, გადანაწილების როლის შემცირება – სტიმულების ეფექტიანობის ზრდასთან. ამასთან, შემოსავლების გადანაწილების გარეშე საბაზრო შესაძლებლობათა გათანაბრება წარმოუდგენელია, რადგან შემოსავლის უქონელი ან მცირე შემოსავლიანი ფენების საბაზრო შესაძლებლობებიც მცირე იქნება, მაგრამ ლიბერტარიანიზმი ითვალისწინებს შემოსავლების გადანაწილების შედარებით შემცირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ *ლიბერტარიანისტული პოლიტიკური ფილოსოფიის გამოყენება მიმართულია ეკონომიკური სტიმულების, მათ შორის, შრომის სტიმულების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ.* მაგრამ თუ რამდენად არის პირობები საქართველოში დღეს ამ პოლიტიკის გატარებისათვის, ეს საკითხი დამატებითი კვლევის საგანს წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას იმის შესახებაც, თუ რამდენად სამართლიანია ასეთი პოლიტიკის გატარება ღარიბი ფენების მდგომარეობის თვალსაზრისით. აქ ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ვლ. პაპავას შეხედულებას, რომ „ლიბერტარიანიზმის ეკონომიკური პოლიტიკის წმინდა სახით გამოყენება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში ფიასკოსათვისაა განწირული. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ლიბერტარიანიზმისა და ლიბერალიზმის გარკვეული სინთეზი უნდა იყოს პირველის პრიმატის პირობებში".

ბოლოს, აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ვინაიდან ეკონომიკურ ლიტერატურაში განაწილების სამართლიანობის ცნების განმარტებით და ეფექტიანობის ცნებასთან მიმართებაში საკითხი არ არის გარკვეული, ამ საკითხების გარკვევას შეუძლია დააახლოვოს ეს კონცეფციები ერთმანეთან, რათა ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომა ეკონომიკური და, მათ შორის, შრომის სტიმულების ეფექტიანობის ამაღლების საკითხისადმი განაწილებითი ურთიერთობების თანდათანობითი, ევოლუციური ცვლილებების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. მალაშხია., „მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია", თბ., 1995, გვ. 326-358.
2. ნ. გრეგორი მენქიუ., „ეკონომიკის პრინციპები"., «დიოგენე». თბ., 2007, გვ. 419.
3. ვლადიმერ პაპავა, „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა"., თბ., 2002., გვ. 143.

SOME QUESTIONS OF OBJECTIVITY AND JUSTICE OF DISTRIBUTING SYSTEM

EDUARD KAVTIDZE - acad. doctor of economy

In this issues aim is to say each other our mind about this items, which are different from one another, because this items show us their importance despite of their differentiations as for economic stimulate analyses, as their practice for complete.

Gregory Mankew has 3 philosophic ideas about those items: liberalism, libertarianism and utalitarism.

From these three items, the first and the second show us that government economic politic incomes must be directed though the optimal level and the third item – libertarianism – is very different from them, because incomes approximately politic is not true.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com